კავკასიის მდგრადი განვითარების აქტუალური საკითხები

ნოდარ ელიზბარაშვილი

ელ-ფოსტა: nodar.elizbarashvili@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179, თბილისი, საქართველო

მოხსენებაში განხილულია კავკასიის რეგიონის მცხოვრებთა მდგრადი განვითარების თანამედროვე პრობლემატიკა, რომელიც **რამდენიმე ძირითად საკითხს** უკავშირდება. მათ შორისაა: ტერიტორიული კონფლიქტების პრევენცია, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ინფრასტრუქტურის და კომუნიკაციების განვითარება, ენერგო და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვ.

კავკასია **უმნიშვნელოვანეს** გეოპოლიტიკურ როლს თამაშობს თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთსა და წინა აზიაში. ასევე არსებითია მისი როლი ეკონომიკურ კავშირურთიერთობებშიც, რასაც გარკვეულად აკნინებს რეგიონის ქვეყნების მეურნეობის სხვადასხვაგვარი განვითარების ტენდენციები. კვლავ მაღალია ბუნებრივი რესურების გამოყენების მასშტაბები, გარემოს დაბინძურების და ლანდშაფტის ტრანსფორმაციის ფორმები, მიწის რესურსებსა და ტყეებზე ანთროპოგენული ზემოქმედების უარყოფითი შედეგები. ამ პრობლემებიდან რამდენიმე **განსაკუთრებით აქტუალურია** კავკასიისთვის. სამართლიანად მიიჩნევა, რომ ამ ეტაპზე ეფექტური იქნება თანამშრომლობა გარემოს დაცვის, წყლის რესურსების, რეკრეაციული მეურნეობის და ტრანსპორტის განვითარებისთვის. კავკასიაში, როგორც ერთიანი კულტურული და ბუნებრივი სივრცის დეზინტეგრაციული პროცესების პრევენციისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია თანამშრომლობა კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების, ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის, ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიების, ეკოლოგიური და სატრანსპორტო კორიდორების შექმნის მიმართულებით.

კავკასიის, როგორც მთიანი რეგიონის, ბუნებრივი გარემოს და ბუნებრივი რესურსების გამოყენების **მართვა და რეგულირება** უკავშირდება საერთაშორისო, ადგილობრივ (ნაციონალურ), საბაზრო და ტრადიციულ სამართლებრივ მექანიზმებს. გამოცდილება აჩვენებს, რომ მხოლოდ მათი ჰარმონიზაცია და ოპტიმიზაცია იძლევა ხანგრძლივ და სასურველ შედეგს.